

ხელშეკრულება №102
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

17 აგვისტო 2012 წელი

ქ. ტყიბული

ერთი მხრივ, ს.ს.ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) საკრებულოს თავმჯდომარის დავით ქათამაძის სახით და მეორე მხრივ, შ.პ.ს. „მშენ-ექსპერტი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) მალხაზ წიქარიშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის 10¹ მუხლის, მე-3 პუნქტის, „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე (საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის N1427 განკარგულება), გამარტივებული შესყიდვის საშუალებით აფორმებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას. CPV კლასიფიკატორის კოდი 71300000.

1. ხელშეკრულების საგანი

შესყიდვის ობიექტია, ტყიბულის მუნიციპალიტეტის სპორტის სასახლის-რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურება (შემდგომში „მომსახურება“), ხელშეკრულების დანართის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება დღგ-ს ჩათვლით შეადგენს 53000 (ორმოცდაცამეტიათასი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ან მისი ნაწილის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურება ან მისი ნაწილი ჩათვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერი პირია ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგებელი ლევან დოხნაძე.

5. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება მისამართზე: ქ. ტყიბული, კ. ლომაძის №3.

5.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან, 2012 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია ნოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება სათანადო ხარისხით

შემსყიდველი

[Signature]

შემაჯდომარე

[Signature]

მიმწოდებელი

[Signature]

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულებების შეუსრულებელი ნაწილის 0,1%-ს.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2012 წლის 17 აგვისტოდან და მოქმედებს 2012 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.

12. მხარეთა რეკვიზიტები:


შემსყიდველი

ს.ს.ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტი“
ქ. ტყიბული, კ. ლომამის მოედანი №3
საიდენტიფიკაციო კოდი 219636259.
ს.ს. „პრიატბანკის ტყიბულის ფილიალი.“
ბ.კ. GAVOGE22
ა.ა. GE37TP0033030020000303.



მიმწოდებელი

შ.პ.ს. „მშენ-ექსპერტი“
ქ. თბილისი, ნოსტეს ქ. #28
საიდენტიფიკაციო კოდი 200266559
საქართველოს ბანკის ცენტრ. ფილიალი
ბ.კ. BAGAGE22
ა.ა. GE91BG0000000252938700



N102 ბელშეკრულების დანართი

I ეტაპი

დაშლა-სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის და გეოლოგიური დასკვნის დოკუმენტაციის მომზადება

1	დაშლა-სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი	950
2	სადემონტაჟო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა	820
3	გეოლოგიური დასკვნის მომზადება	3500

II ეტაპი

სახურავის მონტაჟის, რეკონსტრუქციისა და ხარჯთაღრიცხვის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება

1	სახურავის მოწყობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მომზადება	11200
2	სახურავის ლითონის ფერშეღებვის კვანძების გადამოწმება და საჭიროების შემთხვევაში ვაძლიერების სქემების შედგენა	1470
3	რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი	880
4	რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოთა პროექტის ხარჯთაღრიცხვა	880

III ეტაპი

შენობის კონსტრუქციების გაძლიერების, რეკონსტრუქციის არქიტექტურული, საინჟინრო, მშენებლობის ორგანიზაციისა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება

1	შენობის მზიდი კონსტრუქციების გაძლიერების პროექტის მომზადება	10140
2	რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტის მომზადება	11900
3	საინჟინრო ნაწილის (ელექტრობა, წყალკანალიზაცია, გათბობა-ვენტილაცია, კონდიციონერების პროექტები)	8850
4	მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი	940
5	შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა	1470

სულ ღირებულება

53000



მიმწოდებელი

აქტი
მიღება-ჩაბარების შესახებ

ქ. ტყიბული

02 სექტემბერი 2012 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ს.ს.ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტი, მუნიციპალიტეტის გამგებლის ლევან დოხნაძის სახით, შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „მშენ-ექსპერტი“ მალხაზ წიქარიშვილის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი“ ვადასტურებთ:

ტყიბულის მუნიციპალიტეტის სპორტის სასახლის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო მომსახურების, 2012 წლის 17 აგვისტოს N102 ხელშეკრულების, ღირებულებით 53000 (ორმოცდაცამეტიათასი) ლარი, გათვალისწინებული პირობების შესრულებას.

მიმწოდებელმა მიაწოდა და შემსყიდველმა მიიღო საპროექტო მომსახურება, ხელშეკრულების დანართში მითითებული I ეტაპის მიხედვით:

- I ეტაპი**
დაშლა-სადემონტაჟო სამუშაოთა
ორგანიზაციის და გეოლოგიური
დასკვნის დოკუმენტაციის მომზადება
- 1 დაშლა-სადემონტაჟო სამუშაოთა
ორგანიზაციის პროექტი
 - 2 სადემონტაჟო სამუშაოების
ხარჯთაღრიცხვა
 - 3 გეოლოგიური დასკვნის მომზადება

შესაბამისად ანაზღაურებას ექვემდებარება გაწეული მომსახურება 5270 (ხუთიათას ორასამოცდაათი) ლარის ოდენობით.

მხარეთა ხელმოწერა

„შემსყიდველი“

ტყიბულის მუნიციპალიტეტი

ლევან დოხნაძე



„მიმწოდებელი“

შ.პ.ს. „მშენ-ექსპერტი“

მალხაზ წიქარიშვილი

მ. გ. გ. გ.



აქტი
მიღება-ჩაბარების შესახებ

ქ. თბილისი

“17” სექტემბერი 2012 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტი წარმოდგენილი მისი გამგებლის ლევან დოხნაძის მიერ და მეორეს მხრივ შპს „მშენ-ექსპერტი“ („შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მალხაზ წიქარიშვილის მიერ (შემდგომში „მიმწოდებელი“)

ტყიბულის მუნიციპალიტეტის სპორტის სასახლის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო მომსახურების, 2012 წლის 17 აგვისტოს №102 ხელშეკრულების, ღირებულებით 53 000 (ორმოცდა ცამეტი ათასი) ლარი, გათვალისწინებული პირობების შესრულებას.

მიმწოდებელმა მიაწოდა და შემსყიდველმა მიიღო საპროექტო მომსახურება, ხელშეკრულების დანართში მითითებული II ეტაპის მიხედვით:

II ეტაპი

» სახურავის მონატიჟის, რეკონსტრუქციისა და ხარჯთაღრიცხვის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება

1. სახურავის მოწყობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მომზადება;
2. სახურავის ლითონის ფერმების კვანძების გადამოწმბა და საჭიროების შემთხვევაში გაძლიერების სქემების შედგენა;
3. რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი;
4. რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოთა პროექტის ხარჯთაღრიცხვა.

შესაბამისად ანაზღაურებას ექვემდებარება გაწეული მომსახურება 14 430 (თოთხმეტი ათას ოთხას ოცდაათი) ლარის ოდენობით.

მხარეთა ხელმოწერები

„შემსყიდველი“

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტი
გამგებელი

 ლევან დოხნაძე


„მიმწოდებელი“

შპს „მშენ-ექსპერტი“
დირექტორი

 მალხაზ წიქარიშვილი




აქტი
მიღება-ჩაბარების შესახებ

ქ. თბილისი

“30” ოქტომბერი 2012 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტი წარმოდგენილი მისი გამგებლის ლევან დოხნაძის მიერ და მეორეს მხრივ შპს „მშენ-ექსპერტი“ („შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მალხაზ წიქარიშვილის მიერ (შემდგომში „მიმწოდებელი“)

ტყიბულის მუნიციპალიტეტის სპორტის სასახლის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო მომსახურების, 2012 წლის 17 აგვისტოს №102 ხელშეკრულების, ღირებულებით 53 000 (ორმოცდა ცამეტი ათასი) ლარი, გათვალისწინებული პირობების შესრულებას.

მიმწოდებელმა მიაწოდა და შემსყიდველმა მიიღო საპროექტო მომსახურება, ხელშეკრულების დანართში მითითებული III ეტაპის მიხედვით:

III ეტაპი

შენობის კონსტრუქციების გაძლიერების, რეკონსტრუქციის არქიტექტურული, საინჟინრო, მშენებლობის ორგანიზაციისა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება

1. შენობის მზიდი კონსტრუქციების გაძლიერების პროექტის მომზადება;
2. რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტის მომზადება;
3. საინჟინრო ნაწილის (ელექტროობა, წყალ-კანალიზაცია, გათბობა-ვენტილაცია, კონდიციონერების პროექტები)
4. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი;
5. შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა.

შესაბამისად ანაზღაურებას ექვემდებარება 33 300 (ოცდაცამეტი ათას სამასი) ლარის ოდენობით.

გაწეული მომსახურება

მხარეთა ხელმოწერები

„შემსყიდველი“

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტი

გამგებელი


ლევან დოხნაძე

„მიმწოდებელი“

შპს „მშენ-ექსპერტი“

დირექტორი:


მალხაზ წიქარიშვილი



ხელშეკრულება №01/50
სახელმწიფო შესყიდვის ბანხორციელების შესახებ

2012 წლის 20 აგვისტო

ქ. თბილისი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ – საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორია წარმოდგენილი დირექტორის ანა ჯვანიას სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“)
მისამართი: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი 16, ალექსეევკის დასახლება №3;
საიდენტიფიკაციო კოდი: 406053256;
საბანკო რეკვიზიტები: სახ. ხაზინა, კოდი: 220101222, ანგარიშსწორების ანგარიში: 200122900.

მეორეს მხრივ შპს „მშენ-ექსპერტი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის მალბაზ წიქარიშვილის სახით (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“)
მისამართი: ქ. თბილისი, ნოსტეს ქ. №28
საიდენტიფიკაციო კოდი: 200266559;
საბანკორეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE22, ა/ა: GE91 BG00 0000 0252 9387 00

ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-101 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 ივლისის N1487 განკარგულებით, ვადასტურებთ, რომ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საერთო პირობები

- 1.1 მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების საერთო პირობებში.
- 1.2 ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
 - 1.2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) შემსყიდველ ორგანიზაციასა და მოლაპარაკების შედეგად შერჩეულ პირს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე დართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული.
 - 1.2.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის.
 - 1.2.3. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში – „შემსყიდველი“) – ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
 - 1.2.4. „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველთან მოლაპარაკების საფუძველზე, უწევს მომსახურებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.
 - 1.2.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. მიმწოდებელმა ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად უნდა უზრუნველყოს ქ. თბილისში კახეთის გზატკეცილზე, ალექსეევკის N3-ში, სამხედრო დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.19.25.001.021) ა(ა)იპ – საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორიის ადმინისტრაციული, ტრენინგცენტრის, ლოჯისტიკისა და დაცვის შენობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (CPV: 71200000 – არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები) კერძოდ:

2.1. მიმწოდებლის მიერ უნდა მომზადდეს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შემდეგნაირად:

- 2.1.1. ექვსსართულიანი შენობა სარდაფით – 6 000 მ²;
- 2.1.2. საწყობის შენობა – 1 130 მ²;
- 2.1.3. ლოჯისტიკის შენობა – 135 მ²;
- 2.1.4. დაცვის შენობა – 30 მ²

2.3. ამ მუხლის პირველი პუნქტით მოთხოვნილი მომსახურება გულისხმობს: არქიტექტურული ნაწილის, კონსტრუქციული ნაწილის, საინჟინრო ნაწილის (ელექტროობა, სუსტი დენები, გათბობა-კონდიციონერების სისტემა, ვენტილაცია, წყალ-კანალიზაცია), მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის, ასევე შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის მომზადებას.



2.4. მიმწოდებელმა არქიტექტურული ნაწილის, კონსტრუქციული ნაწილის, საინჟინრო ნაწილის, ასევე მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის მომზადების დროს უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მოთხოვნები ოთახების განლაგებასთან და მათ ფუნქციონალურ დატვირთვასთან დაკავშირებით, ასევე მომსახურების გაწევა განახორციელოს შემსყიდველთან შეთანხმებით.

2.5. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას მიმწოდებელთან შეთანხმებით შეიტანოს ცვლილებები ესკიზში (არქიტექტურული ნაწილი).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 45 000,00 (ორმოცდახუთი ათასი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

4. მომსახურების გაწევის წესი

4.1. მომსახურების გაწევის საბოლოო ვადაა 2012 წლის 24 სექტემბერი.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების გაწევისას მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ყველა შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

5.3. შესყიდვის საგანი ჩაითვლება მიღებულად მას შემდეგ, რაც მხარეებს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი მომსახურების გაწევის შესახებ. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება შემსყიდველის მხრიდან მიენიჭოს ა(ა)იპ - საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორიის დირექტორს ანა ჟვანიას.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, წარმოდგენილი შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია.

6.3 „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და წინამდებარე ხელშეკრულების 6.2. პუნქტში ნითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაოდის განმავლობაში.

6.4 მიღება-ჩაბარების აქტის ან/და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში, არ მოხდება თანხის გადახდა.

7. მხარეთა მოვალეობები

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებული უნაკლო მომსახურება.

7.1.2. თუკი ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება არ აღმოჩნდება სრულყოფილი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი.

7.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

7.2.1. მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.3. შემსყიდველის ვალდებულია:

7.3.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.3.2. უზრუნველყოს შესყიდვის საგნის მიღება.

7.4. შემსყიდველის უფლებამოსილია:

7.4.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამოწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოიწვიოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

9. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების“ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. სადავო საკითხების გადაწყვეტა

10.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.

10.2. მხარეებმა, სადავო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლია მიმართონ სასამართლოს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამოწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

12. მხარეთა პასუხისმგებლობა

12.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას, მეორე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

12.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომლის მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

12.4. ხელშეკრულებიდან გასვლისას შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

12.5. რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში მეორე მხარე იტოვებს უფლებას მოითხოვოს დამრღვევი მხარისგან, ხოლო ამ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13. ხელშეკრულების კონტროლი

13.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ა(ა)იპ – საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორიის დირექტორი ანა ჟვანია.

13.2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს განახორციელონ მომსახურების ხარისხის კონტროლი.

13.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2012 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით.

15. ხელშეკრულების ენა

15.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.

16.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში მიმწოდებელს არ შეუძლია მომსახურების სრულად ან ნაწილობრივ მიწოდება;

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 4 გვერდზე, 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“, ორი ეგზემპლარი – „შემსყიდველთან“.

მხარეთა რეკვიზიტები:


შემსყიდველი:

ა(ა)იპ – საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორია



მიმწოდებელი:

შპს „მშენ-ექსპერტი“



შეთანხმება NI

(ა(ა)იპ – საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალურ რეფერალურ ლაბორატორიასა და შპს „მშენ-ექსპერტს“ შორის 2012 წლის 20 აგვისტოს გაფორმებულ №01/50 ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ)

ქ. თბილისი

19 სექტემბერი, 2012 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ – საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორია (მისამართი: ქ. თბილისი, ვახუთის გზატკეცილი 16, ალექსეევკის დასახლება №3) წარმოდგენილი დირექტორის ანა ჟვანიას სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, შპს „მშენ-ექსპერტი“ (მისამართი: ქ. თბილისი, ნოსტეს ქ. N28) მისი დირექტორის მალხაზ წიქარიშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“) მხარეთა შორის 2012 წლის 20 აგვისტოს გაფორმებული №01/50 ხელშეკრულების 9.2 პუნქტის შესაბამისად, შევთანხმდით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. მომსახურების გაწევის წესი

4.1. მომსახურების გაწევის საბოლოო ვადაა 2012 წლის 24 სექტემბერი, რის შემდეგაც წარმოდგენილი მასალები შესასწავლად შემსყიდველის მხრიდან გადაეცემა დამოუკიდებელ ექსპერტ(ებ)ს“.

2. ხელშეკრულების მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების გაწევისას მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ყველა შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის“.

5.2. შესყიდვის საგანი ჩაითვლება მიღებულად მას შემდეგ, რაც მხარეებს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი მომსახურების გაწევის შესახებ. შემსყიდველია მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერა განხორციელდება მხოლოდ დამოუკიდებელი საექსპერტო დასკვნის შემდეგ. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება შემსყიდველის მხრიდან მიენიჭოს ა(ა)იპ – საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორიის დირექტორს ანა ჟვანიას.

3. ხელშეკრულების მე-14 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2012 წლის 12 ნოემბრის ჩათვლით“.


4. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი/პუნქტი დარჩეს უცვლელი.

5. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს ზემოაღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

6. შეთანხმება შედგენილია სამი, თანაბარი ოურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომელთაგან ორი რჩება შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო ერთი გადაეცემა მიმწოდებელს.

შემსყიდველი:

ა(ა)იპ – საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორია


ანა ჟვანია
დირექტორი



მიმწოდებელი:

შპს „მშენ-ექსპერტი“


მალხაზ წიქარიშვილი
დირექტორი



მიღება-ჩაბარების აქტი №01/50

ქ. თბილისი

19 ოქტომბერი, 2012 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ ა(ა)იპ – რიჩარდ გ. ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრი, დირექტორის ანა ფვანიას სახით (შემსყიდველი) და მეორე მხრივ „მიწოდებელი“

შპს „მშენ-ექსპერტი“

(დაწესებულების დასახელება)

მალხაზ წიქარიშვილი

(ხელმძღვანელის დასახელება)

ვხელმძღვანელობთ რა სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 02 ოქტომბრის N035387-2012/03/2, 03 ოქტომბრის N035387-1-2012/03/2, 12 ოქტომბრის N035387-3-2012/03/2 და 18 ოქტომბრის N035387-2012/03/2-1 საექსპერტო დასკვნებით, ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ მხარეთა შორის 2012 წლის 20 აგვისტოს გაფორმებული №01/50 ხელშეკრულების თანახმად მიწოდებელმა შემსყიდველს გაუწია შემდეგი მომსახურება – ქ. თბილისში კახეთის გზატკეცილზე, ალექსეევკის N3-ში, სამხედრო დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.19.25.001.021) ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორიის ადმინისტრაციული, ტრენინგ-ცენტრის, ლოჯისტიკისა და დაცვის შენობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება

45 000,00 (ორმოცდახუთი ათასი) ლარს

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს _____

(თანხა ციფრით და სიტყვიერად)

45 000,00 (ორმოცდახუთი ათასი) ლარს

მომსახურების ღირებულება შეადგენს _____

(თანხა ციფრით და სიტყვიერად)

45 000,00 (ორმოცდახუთი ათასი) ლარს

მომსახურების ღირებულება ნაზარდი ჯამით შეადგენს _____

(თანხა ციფრით და სიტყვიერად)

ჩააბარა:

მალხაზ წიქარიშვილი

შპს „მშენ-ექსპერტი“ დირექტორი

მიიღო:

ანა ფვანია

ა(ა)იპ – რიჩარდ გ. ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრის დირექტორი



ხელშეკრულება № 18/12

“21” აგვისტო 2012 წ

ქ. თბილისი

ერთი მხრივ შპს „№2 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი“ (შემდგომში „დამკვეთი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ლეკვიშვილის მიერ, ხოლო მეორე მხრივ შპს „მშენ-ექსპერტი“ (შემდგომში „შემსრულებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის, მალბაზ წიქარიშვილის მიერ გამოხატავენ კეთილ ნებას ითანამშრომლონ და დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დამკვეთის დავალების/დაკვეთის საფუძველზე შემსრულებლის მიერ მომსახურების გაწევა.
 - 1.1. პუნქტში აღნიშნული მომსახურება გულისხმობს ქ. თბილისი, ალექსანდრე გობრონიძის №27-ში მდებარე სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა, დაშლა-დემონტაჟის სამუშაოების პროექტის და კიბის, პანდუსის და გადახურვის მოწყობის კონსრუქციული პროექტის მომზადება.
- 1.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან, შესაბამისად, მომსახურება შემსრულებელმა უნდა შეასრულოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან 2012 წლის 5 სექტემბრის ჩათვლით.

მუხლი 2. ანგარიშსწორების პირობები

- 2.1. მომსახურების სრულყოფილი გაწევისათვის დამკვეთი შემსრულებელს გადაუხდის სახელშეკრულებო თანხას, რომელიც განისაზღვრება 1 200 (ერთი ათას ორასი) ლარით დღე-ს ჩათვლით (იხ. დანართი).
- 2.2. სახელშეკრულებო თანხის გადახდა ხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში, ლარში, შემსრულებლის კუთვნილ საბანკო რეკვიზიტებზე, რომელიც მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების მე-10 მუხლში.
- 2.3. სახელშეკრულებო თანხის 20% გადახდა უნდა მოხდეს წინასწარ ავანსის სახით, დარჩენილი თანხის გადახდა ხორციელდება სამუშაოს სრულყოფილად შესრულების შემდეგ, კერძოდ შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის ოქმის ჩაბარებიდან არა უგვიანეს 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში, წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
- 2.4. დამკვეთის მხრიდან 2.3. პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის გამო, შემსრულებელი უფლებამოსილია მოთხოვოს დამკვეთს პირგასამტეხლოს გადახდა სახელშეკრულებო თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე.

მუხლი 3. მხარეთა ძირითადი უფლება-მოვალეობები

შემსრულებელი:

- 3.1. შემსრულებელი დამკვეთის დავალების/დაკვეთის საფუძველზე ვალდებულია გაუწიოს დამკვეთს 1 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება, რომელიც უნდა იყოს შესრულებული პროფესიონალურად, საქართველოს კანონმდებლობისა და ამ ხელშეკრულების ნორმების დაცვით.
 - 3.2. შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთს გადასცეს დასკვნა და პროექტი ალბომის სახით (2 ვგ ზემპლიარი).
 - 3.3. შემსრულებელი ვალდებულია შენიშვნების არსებობის შემთხვევაში ცვლილებები შეიტანოს პროექტში თავისი ხარჯებით.
- დამკვეთი:
- 3.4. დამკვეთი თავის მხრივ ვალდებულია გადაუხადოს შემსრულებელს სახელშეკრულებო თანხა მე-2 მუხლით გათვალისწინებული ვადებითა და ოდენობით.
 - 3.5. დამკვეთი უფლებამოსილია შეატყობინოს შემსრულებელს იმ მოსალოდნელი პრობლემების შესახებ, რამაც შესაძლოა დააბრკოლოს დამკვეთი სახელშეკრულებო თანხის გადახდისაგან.

საგარეო ურთიერთობების მინისტრის განყოფილება
 მ. ბ. ბ. ბ.

მუხლი 4. საგარანტიო პირობები

- 4.1. შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ სახელშეკრულებო საგანი იქნება შესრულებული პროფესიონალურად და დათქმულ ვადებში.
- 4.2. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი აჭიანურებს მომსახურების განხორციელებას და ირღვევა სახელშეკრულებო ვადები, დამკვეთი უფლებამოსილი იქნება მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და ასევე მოსთხოვოს შემსრულებელს პირგასამტეხლოს გადახდა სახელშეკრულებო თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე.
- 4.3. თუ შემსრულებლის მიერ მომსახურების გაწევა დაგვიანდა 1 (ერთ) კალენდარულ კვირაზე მეტი ვადით, დამკვეთი პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნის გარდა უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება ხელშეკრულების მოშლისათვის დადგენილი ვადების დაცვის გარეშე.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი ვადამდე ადრე მოშლის პირობები

- 5.1. წინამდებარე ხელშეკრულება არის ერთჯერადი ხელშეკრულება, რომელიც ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 5 სექტემბრის ჩათვლით. წინამდებარე ხელშეკრულება ავტომატურად წყდება მხარეთა მიერ აღნიშნული ვალდებულებების შესრულებისთანავე.
- 5.2. წინამდებარე ხელშეკრულება კონფიდენციალურობის დაცვის პუნქტში გრძელდება ამავე პუნქტში მითითებული ვადის გათვალისწინებით. დაუშვებელია კონფიდენციალურობის ვალდებულების დაცვისთვის დადგენილი ვადის ვადამდე შეწყვეტა.
- 5.3. ხელშეკრულების ვადამდე მოშლის შემთხვევაში უნდა შედგეს წერილობითი დოკუმენტი, სადაც მხარეები თავიანთი ხელმოწერითა და ორგანიზაციის ბეჭდით წერილობითი ფორმით დააფიქსირებენ მათ მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების/შეუსრულებლობის შესახებ, ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს და ასეთი ფაქტის დადგომის ნამდვილობას და ძალაში შესვლას.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 6.1. მხარეები კისრულობენ პასუხისმგებლობას დროულად შეასრულონ ნაკისრი მოვალეობები და აღნიშნული მოვალეობების შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ერთმანეთის წინაშე პასუხი აგონ წინამდებარე ხელშეკრულების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 6.2. მხარეები თავსუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ ადგილი აქვს ხელშეკრულების მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მოვლენებს.

მუხლი 7. კონფიდენციალურობა

- 7.1. შემსრულებელი ვალდებულია დაიცვას და არ გაახმაუროს წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული ინფორმაცია (როგორც კომერციული ისე არაკომერციული).
- 7.2. შემსრულებელი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალურობა და არ გაახმაუროს კონფიდენციალური/კომერციული ინფორმაცია მაშინაც კი თუ ის შეწყვიტავს დამკვეთთან სახელშეკრულებო ურთიერთობას.

მუხლი 8. ფორს მაჟორი

- 8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივი ან სრული შეუსრულებლობისათვის, თუ ის იყო გამოწვეული გადაულახავი გარემოებებით – ხანძრით, წყალდიდობით, მიწისძვრით, ქარიშხლით, გრივალით და სხვა ბუნებრივი სტიქიური მოვლენებით; ომით, სამოქალაქო დაუმორჩილებლობით, რევოლუციით,

- აჯანყებით, ელექტროენერჯის მასობრივი გათიშვით ან სხვა ისეთი მოვლენებით, რომლებმაც უშუალოდ იმოქმედეს ამ ხელშეკრულების შესრულებაზე.
- 8.2. შესულების ვადა გადაიდება იმ დროით, რის განმავლობაშიც მოქმედებენ ეს გარემოებები.

მუხლი 9. სხვა პირობები

- 9.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რუსულ და ქართულს ენებზე.

მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

დაამკვეთი

შპს „№2 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი“
 მის: თბილისი ალექსანდრე გობრონიძის №27
 საიდენტიფიკაციო კოდი: 209473023
 ბანკი: სს „კორ-სტანდარტ ბანკი“
 ბანკის კოდი: AGREGE22
 ანგარიშის ნომერი: GE63KS0000000014179919
 დირექტორი:

გიორგი ლეკვეიშვილი

ხელმოწერა გიორგი ლეკვეიშვილი
 ბ.ა.

შესრულებელი

შპს „მშენ-ექსპერტი“
 მის: ქ. თბილისი, ნოსტეს ქ. №28
 საიდენტიფიკაციო კოდი: 200266559
 ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“
 ბანკის კოდი: BAGAGE22
 ანგარიშის ნომერი: GE91BG00000000252938700
 დირექტორი

მალხაზ წიქარიშვილი

ხელმოწერა მალხაზ წიქარიშვილი
 ბ.ა.



შ.პ.ს.



LTD

“მშენ-ექსპერტი”

“B U I L D - E X P E R T”

“21” აგვისტო 2012წ.

მუხიანში არსებული პოლიკლინიკის
საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების
ხარჯთაღრიცხვა

1. საექსპერტო დასკვნა რეკონსტრუქციის შესაძლებლობის შესახებ	-	400 ლარი
2. სადემონტაჟო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტი-		300 ლარი
3. პანდუსის, კიბის და გადახურვის მოწყობის კონსტრუქციული პროექტი	-	500 ლარი
ჯამი -		1 200 ლარი

სამუშაოების შესრულების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

შპს „მშენ-ექსპერტი“-ს
დირექტორი



/მ. წიქარიშვილი/

მიღება-ჩაბარების აქტი 18/12

ქ. თბილისი

“3” სექტემბერი 2012 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს „მშენ-ექსპერტი“ („შემსრულებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის *მალხაზ წიქარიშვილის* მიერ და მეორეს მხრივ შპს „№2 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი“ (შემდგომში „დამკვეთი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის *გიორგი ლეკვეიშვილის* მიერ

ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს და ვადასტურებთ, რომ შემსრულებლის მიერ შესრულებულია 2012 წლის “21” აგვისტოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები: *ქ. თბილისი, ალექსანდრე გობრონიძის №27-ში მდებარე სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა, დაშლა-დემონტაჟის სამუშაოების პროექტის და კიბის, პანდუსის და გადახურვის მოწყობის კონსტრუქციული პროექტის მომზადება.*

ანაზღაურებული სამუშაოს შესრულებისათვის გათვალისწინებულია შესრულების თანხა *1 200* (ერთი ათას ორასი) *ლარი დღგ-ს ჩათვლით.*

არ არსებობს ურთიერთპრეტენზიები შესრულებულ სამუშაოზე.
ეს აქტი შედგენილია ორი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებთან.



ჩააბარა
შემსრულებელი
შპს „მშენ-ექსპერტი“-ს
დირექტორი
მ. წიქარიშვილი



მიიღო
დამკვეთი:
შპს „№2 სამკურნალო პროფილაქტიკური
ცენტრი“-ს დირექტორი:
გ. ლეკვეიშვილი



ხელშეკრულება №4046/10/49
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
(მომსახურების შესყიდვა)

ქ.თბილისი

21 აგვისტო 2012 წელი

ერთის მხრივ, შპს " თბილისის №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის" (შემდგომში – შემსყიდველი), მისი გენერალური დირექტორის გივი აზაურაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. მშენ-ექსპერტი" (შემდგომში – მომწოდებელი) მისი დირექტორის მალხაზ წიქარიშვილი სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება რეკონსტრუქციის ჩასატარებლად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია შენობის ღიბი "ვ"-ს 1 სართულის რეკონსტრუქციის შესახებ საექსპერტო დასკვნა, სადემონტაჟო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტი, პანდუსისა და კიბის მოწყობის კონსტრუქციული პროექტი.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

- 3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარებში);
- 3.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 800 (რვაასი) ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

- 5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ერთი კვირის განმავლობაში.
- 5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ.თბილისი,
- 5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშვაქტურა).



6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

- 7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში;
- 7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით (გადარიცხვით);
- 7.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3 მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 3 (სამი) საბანკო დღის ვადაში.
- 7.4 ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 8.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
- 8.2 შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
 - უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;
- 8.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
- 8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან ერთი კვირისა.
 - დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

- 9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- 9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება;
- 9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიაღება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით;
- 9.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;

9.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5% ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.0 ხელშეკრულების მოქმედება განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2012 წლის 31 აგვისტომდე.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწვეს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ;

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე;

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან;

14.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ბადრი ლომაია, №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის დირექტორი საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში.

14.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით;

14.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

15.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა იყოს ქართულ ენაზე;

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

შპს ქ.თბილისის №1 სამკურნალო

პროფილაქტიკური ცენტრი

ქ.თბილისი, ვ.ფშაველას 83/11

ს.ს. "საქართველოს ბანკი"

კოდი: 220101502

ა/ა № 800467797

ს/კოდი: 204861952

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. „მშენ-ექსპერტი“

ს/კ 200266559

